საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №227

2001 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

გემების ბალასტური წყლების მართვის კონტროლის შესახებ

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსული მცურავი საშუალებების მიერ ბალასტური წყლების შეცვლისას მავნე და პათოგენური ორგანიზმების შემოჭრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინადადება და ტანკერებმა, რომლებიც მოემართებიან საქართველოში, მოახდინონ იზოლირებული ბალასტური წყლების შეცვლა, „საქართველოს მეორე სანიტარიულ რაიონში“ (50 მილიანი ზონა) შემოსვლამდე, ნაპირიდან სულ ცოტა 25 საზღვაო მილის მოშორებითა და 100 მეტრი სიღრმის მქონე ტერიტორიაზე.

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (ნ. ჩხობაძე) და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ (მ. ადეიშვილი) საზღვაო ორგანიზაციის A.868(20) რეზოლუციის – „გემების ბალასტური წყლების კონტროლის ხელმძღვანელობა და მისი მართვა მავნე და პათოგენური ორგანიზმების შემოჭრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით“ – შესაბამისად 2001 წლის მესამე კვარტალის ბოლომდე გამოსცენ ერთობლივი ბრძანება „საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.

3. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოთ საქარ-თველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შავი ზღვის დაცვის კონვენციურ ინსპექციასა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საზღვაო ადმინისტრაციას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ე. შევარდნაძე